შენიშვნა: გადაწყვეტილება გასაჩივრდა და სახდელის ნაწილში შეიცვალა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით, საქმე დს-შ/3-17

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი - კომისიის თავმჯდომარე

ნინო მიქიაშვილი - კომისიის წევრი

ქეთევან უტიაშვილი - კომისიის წევრი

პავლე აბაიაძე - კომისიის წევრი

თეა ჭეიშვილი - კომისიის წევრი

ნელი ვარდიაშვილი - კომისიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი - კომისიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე - კომისიის წევრი

გოჩა სვანიძე - კომისიის წევრი

ხათუნა გრიგალაშვილი - კომისიის წევრი

ია გაბედავა - კომისიის წევრი

სულხან ონიანი - კომისიის წევრი

მომართვის ავტორი – ეთიკის კომისიის მესამე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარე გ. ტ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.10.2014

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: № 083/14

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ /სიითი №/

ადვოკატის წარმომადგენელი: ადვოკატი დ. კ. /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ქ.-ის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **მომართვის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მომართა ეთიკის კომისიის მესამე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ გ. ტ. და მოითხოვა ადვოკატ გ. ქ.-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომართვის ავტორის განცხადებით, 2014 წლის 07 ივლისის ეთიკის კომისიის მესამე დისციპლინური კოლეგია, მისი თავმჯდომარეობით, განხილვის წესით იხილავდა ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილებას. განხილვის კოლეგიის სხდომაზე სხდომის მიმდინარეობისას მხარეები შეკამათდნენ, საჩივრის ავტორმა თ. ჩ.-მ ადვოკატის შვილების მიმართ გამოთქვა წყევლა, რის შემდეგაც ადვოკატმა მას შეაგინა.

1.3 მომართვის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა საჩივრის ავტორ თ. ჩ. შეურაცხყოფის მიყენებით აშკარად და მძიმე ფორმით დაარღვია პროფესიული ქცევის წესი, რადგან სასამართლოს მსგავს ორგანოში მიმდინარე მისი პროფესიული საქმიანობის განხილვის პროცესში, გინების გაჟღერებით მიაყენა შეურაცხყოფა ადვოკატის პროფესიას და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას.

1.4 მომართვის ავტორმა 2015 წლის 12 ნოემბერს ეთიკის კომისიის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ მან საჭიროდ ჩათვალა საჩივრით მოემართა ეთიკის კომისიისათვის ადვოკატის მსგავსი ქცევის მიმართ პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით.

1.5 მომართვის ავტორმა ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2017 წლის 02 თებერვლის სხდომაზე დაადასტურა მის მიერ საჩივარში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები.

2. საჩივრის ავტორის მოწმე თ. ჩ.:

2.1 ეთიკის კომისიის 2017 წლის 02 თებერვლის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ განმარტა, რომ ადვოკატს მისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდშიც მიუყენებია სიტყვიერი შეურაცხყოფა. 2014 წლის 07 ივლისს როდესაც ის მოვიდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში და ადიოდა ასოციაციის კიბეებზე, ადვოკატმა მიმიკით დასცინა და შეაგინა, რის გამოც ის გახდა ცუდად და კომისიის სხდომაზე მომხდარი ფაქტი კომისიისათვის არ შეუტყობინებია.

2.2 მოწმის განმარტებით, სხდომაზე შეიტყო, რომ ადვოკატმა მის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მის დაუკითხვად გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში და მან ადვოკატს უთხრა ფრაზა ,,თუ ფული არ მომიცემია, მე ჯერ ჩემს ოჯახზე და თუ არა და შენი შვილების კუბოს ფასი იყოს“, ადვოკატმა კომისიის წევრების თანდასწრებით აიღო ტელეფონი, ძირს დაახეთქა და კიდევ შეაგინა. ზოგადად ის ამ სიტყვებს არ იყენებს, მას ადვოკატისათის არათუ ფული, არამედ სოფლის ნობათიც მიჰქონდა და როდესაც ადვოკატმა განაცხადა, რომ მისთვის ფული არ გადაუცია, ძალიან გამწარდა და იმიტომ თქვა.

2.3 მოწმის განცხადებით, მას აქვს ინტერესი ადვოკატ გ. ქ.-ს მიმართ, რაშიც გულისხმობს ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის ინტერესს.

2.4 მოწმის განცხადებით, მას ადვოკატისათის ბოდიში არ მოუხდია და მიიჩნევს, რომ ადვოკატმა თავად უნდა მოუხადოს ბოდიში.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა გ. ქ. 2014 წლის 17 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში გამოთქვა სინანული აღელვების ნიადაგზე წარმოთქმული ფრაზის გამო.

3.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა თ. ჩ. მრავალი მცდელობის შედეგად მოახერხა მისი, როგორც სამი არასრულწლოვანი შვილის მამის პროვოცირება და არაერთგზის მიაყენა მძიმე ფსიქიკური ტრავმა, რასაც შედეგად მოჰყვა სულიერი აღელვების ნიადაგზე მის მიერ წარმოთქმული ფრაზა.

3.3 ადვოკატის განმარტებით, მისი ვერბალური რეაქცია მოჰყვა თ. ჩ.-ს მიერ მისი შვილების მისამართით ნათქვამი უმძიმესად მოსასმენი სიტყვების გამეორებას, რამეთუ პირველ ჯერზე შეურაცხყოფის მიყენებისას, მან თავი შეიკავა და თ. ჩ.-ის პასუხი არ გაუცია.

3.4 ადვოკატის განმარტებით, ის ნანობს, რადგან აღნიშნული შემთხვევა განხორციელდა ეთიკის კომისიის წევრებისა და უპირველესად მისი ერთ-ერთი ქალბატონი წევრის, ნ. კ.-ის თანდასწრებით და ბოდიშს იხდის მათ წინაშე.

3.5 2014 წლის 16 დეკემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ საჩივრის ავტორის მიერ მისი არასრულწლოვანი შვილების მისამართით გამოთქმულმა წყევლამ გამოიწვია მისი სამწუხარო მყისიერი რეაქცია, ყოველგვარი წინასწარი დაფიქრებისა და განსჯის გარეშე.

3.6 ადვოკატის განცხადებით, ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ ვერ უზრუნველყო მისი უფლების დაცვა, შესაბამისად საჩივრის ავტორმა მოახდინა მისი პროვოცირება. როდესაც თ. ჩ.-მ პირველად დაწყევლა მისი შვილები, საქმის განმხილველმა კოლეგიამ რეაგირება არ მოახდინა, შედეგად საჩივრის ავტორმა ქმედება გაიმეორა.

3.7 2015 წლის 24 მარტის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განაცხადა, რომ მისი ქმედება შეუფერებელია ადვოკატის სტატუსისა და პრესტიჟისათვის, მან იცის, რომ ნებისმიერ ვითარებაში გააჩნია თმენის ვალდებულება.

3.8 ადვოკატის განმარტებით, მას განხილვის კოლეგიის სხდომაზე ისეთი არაფერი უთქვამს, რაც არ ეწერა მის წერილობით ახსნა-განმარტებაში, შესაბამისად, თავად არ გამოუწვევია საჩივრის ავტორის პროვოცირება.

3.9 ადვოკატმა ეთიკის კომისიის სხდომაზე 2015 წლის 12 ნოემბერს დამატებით განმარტა, რომ მისი, როგორც ადვოკატის საქციელი არ არის მოსაწონი და ის მზადაა მიიღოს შესაბამისი სანქცია.

3.10 ადვოკატის წარმომადგენელმა 2017 წლის 02 თებერვლის სხდომაზე მოწმისგან მიიღო ინფორმაცია, რომ მას აქვს ადვოკატთან დაინტერესება.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2015 წლის 24 მარტს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა გ. ქ.-მა 2014 წლის 07 ივლისს ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორ თ. ჩ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ - შეაგინა, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტები; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები.

5. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

5.1 ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 23 იანვრის მიწერილობით საქმე განსახილველად გადაეცა მეხუთე დისციპლინურ კოლეგიას. მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ სხდომა ჩაატარა 2015 წლის 24 მარტს და იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების" შესახებ დებულების 36-ე მუხლით, 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

5.2 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ გ. ქ.-ის მიერ დარღვეულია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილები.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პოზიცია:

6.1 ადვოკატ გ. ქ.-ს ეთიკის კომისიის 2015 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაეკისრა დისციპლინური სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 18 თვის ვადით. ადვოკატმა დისციპლინური სახდელი გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში.

6.2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ადვოკატ გ. ქ.-ის მიერ ეთიკური გადაცდომის ჩადენა და სხვა გარემოებათა გამოსარკვევად, ,,საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის ,,დ“ და 73-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ეთიკის კომისიას.

II სამოტივაციო ნაწილი

7. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

7.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:
საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

7.1.1 ადვოკატი გ. ქ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატს ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან. ადვოკატ გ. ქ.-ის დაკისრებული დისციპლინური სახდელი გაქარწყლებულია.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ადვოკატთა ერთიანი სია;
2. ეთიკის კომისიის 2014 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე (ს.ფ. 33-48);
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 იანვრის №დს-შ/5-14 გადაწყვეტილება (ს.ფ. 49-54).

7.1.2 2014 წლის 07 ივლისის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე თ. ჩ.-ს საჩივრის განხილვისას ადვოკატ გ. ქ.-ის წინააღმდეგ (დისციპლინური საქმე 103/13) ადვოკატმა გ. ქ.-მა სხდომის მიმდინარეობისას საჩივრის ავტორ თ. ჩ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ - შეაგინა და თავისი მობილური ტელეფონი ძირს დაახეთქა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ეთიკის კომისიის 2014 წლის 07 ივლისის განხილვის სხდომის ოქმი (ს.ფ.16);
2. ადვოკატ გ. ქ.-ის 2014 წლის 17 ნოემბრის წერილობითი ახსნა-განმატება (ს.ფ. 18);

3. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2015 წლის 24 მარტის სხდომის ოქმი (ს.ფ 56-58);
4. ეთიკის კომისიის 2015 წლის 12 ნოემბრის სხდომის ოქმი;
5. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2017 წლის 02 თებერვლის სხდომის ოქმი.

8. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ გ. ქ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

9. სამართლებრივი შეფასება:

9.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ გ. ქ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტები: ადვოკატი ვალდებულია ,,ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები"; ,,არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მეოთხე ნაწილი: ,,ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირებთან, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულების ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას."

9.2 ადვოკატს, ისევე როგორც მოსამართლეს, მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. ადვოკატის ყველა მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის მოთხოვნებს. შესაბამისად, ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. აღნიშნული პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება. ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს ადამიანის ამ უფლებით სარგებლობის ფარგლებს.

9.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატი ვალდებულია არა მარტო სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს სცეს პატივი, არამედ იგივე ვალდებულება აქვს ადვოკატს საქმის განხილველ სხვა ორგანოებში მოქმედი ქცევის წესების მიმართაც. ეთიკის კომისიამ 2012 წლის 03 მარტის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე №025/12/ დაადგინა: „ეთიკის კომისია წარმოადგენს კვაზი სასამართლოს, ახორციელებს სასამართლოს მსგავს ფუნქციას და ადვოკატს, როგორც სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა ევალება, იგივე ვალდებულება აქვს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოებისას. ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეთა

უფლებები. ეთიკის კომისიას შესაძლებლად მიაჩნია, ადვოკატს მოეთხოვოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეებთან ურთიერთობის მაღალი და დახვეწილი სტანდარტი..“

9.4 დისციპლინური წარმოება სპეციფიურია იმ მხრივ, რომ წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს კლიენტის პრეტენზიები ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურების მიმართ, ამ დავაში კლიენტი ხდება ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარე, შესაბამისად საქმის განხილვისას ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის ემოციური ფონი მაღალია. ადვოკატს მისი პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე ევალება პროფესიის სახე ღირსეულად წარმოაჩინოს ყველა ვითარებაში და საკუთარი ინტერესები დაიცვას მოწინააღმდეგე მხარის უფლებების შელახვის გარეშე. ადვოკატს მოქალაქესთან შედარებით მეტი თმენის ვალდებულება აქვს, რაც გულისხმობს მოწინააღმდეგე მხარის შეურაცხმყოფელ მოქმედებაზე რეაგირების ისეთი ფორმების შერჩევის უზრუნველყოფას რომლითაც არ დაირღვევა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის წესები.

9.5 2014 წლის 07 ივლისს ეთიკის კომისიაში მიმდინარეობდა თ. ჩ.-ს საჩივრის საფუძველზე დისციპლინური საქმის N103/13 განხილვა ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ. თ. ჩ. წარმოადგენდა ადვოკატ გ. ქ.-ის ყოფილი კლიენტის ამხანაგობის წარმომადგენელს. განხილვის სხდომის მიმდინარეობისას მხარეები შეკამათდნენ, საჩივრის ავტორმა დაწყევლა ადვოკატის შვილები, მას შემდეგ, როდესაც სხდომაზე შეიტყო, რომ ადვოკატმა მისი საქმე მის უკითხავად გაასაჩივრა და საპასუხოდ ადვოკატმა მომჩივანს შეაგინა და მობილური ტელეფონი ძირს დაახეთქა. განხილვის კოლეგია ითვალისწინებს სხდომაზე შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ განმარტავს, რომ ადვოკატ გ. ქ.-ს ევალებოდა ადვოკატის სტატუსიდან გამომდინარე შეენარჩუნებინა პროფესიული ღირსება და არ მიეყენებინა მოწინააღმდეგე მხარისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა.

9.6 განხილვის კოლეგია დისციპლინური საქმის განხილვისას ადვოკატის მიერ განხორციელებულ არაეთიკურ მოქმედებას მიიჩნევს ეთიკის კომისიაში ქცევის წესების დარღვევად და ეთიკის კომისიისადმი უპატივცემულობად, რაც არღვევს როგორც საჯარო წესრიგს, ასევე პროფესიულ სტანდარტსა და ადვოკატის პროფესიისადმი ჯანსაღ დამოკიდებულებას. ეთიკის კომისია არის დამოუკიდებელი, თვითმმართველი დისციპლინური დევნის ორგანო, რომელიც კომპლექტება ადვოკატთა კორპუსის მიერ და მისი საქმიანობის ამოცანაა საადვოკატო პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება და ადვოკატთა მხრიდან აღნიშნული ქცევის წესების დაცვაზე კონტროლი. ეთიკის კომისია საქმის განხილვით ეხმარება ადვოკატს შეაფასოს თავისი ქმედებები პროფესიული ქცევის სტანდარტების კუთხით და გაარკვიოს კლიენტის პრეტენზიათა საფუძვლიანობა, ხოლო ეთიკის კომისიის მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს იმ სტანდარტს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყველა ადვოკატმა სამომავლო მოქმედებებისთვის.

9.7 ეთიკის კომისიამ ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის გარემოება, ადვოკატი გ. ქ. არაეთიკურად მოიქცა იმ სხდომაზე, რომელზეც კომისიას უნდა შეეფასებინა ადვოკატის სხვა მოქმედებათა ეთიკურობა. მოწმის განცხადებით, ადვოკატმა მას ეთიკის კომისიის სხდომამდეც არაერთხელ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, მათ შორის ეთიკის კომისიის 2014 წლის 07 ივლისის სხდომის დაწყებამდეც, ასოციაციის კიბეებზეც შეაგინა. ქცევის შინაარსიდან გამომდინარე ადვოკატი იმდენად მოუმზადებელია ფსიქოლოგიურად ამ პროფესიისათვის, რომ ეთიკის კომისიის

წინაშე ვერ შეიკავა თავი, რაც ცალსახად ადასტურებს ადვოკატ გ. ქ.-ის მიერ გაუწონასწორებლობასა და უპატივცემულობას, არა მარტო კლიენტის, არამედ ეთიკის კომისიის მიმართ.

9.8 ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა აღიარა ჩადენილი ქმედება და მოინანია, თუმცა გ. ქ. მისი ქმედების გამომწვევ მიზეზებად უთითებს საჩივრის ავტორისა და ეთიკის კომისიის ბრალეულობას. ეთიკის კომისია განსაზღვრავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ მხარე განზრახ ეცდებოდა ადვოკატის პროვოცირებას, გ. ქ. აღჭურვილი იყო თმენის ვალდებულებით. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარე მესამე პირის, ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიის ჩარევა ქმნის მეტ ემოციურ ფონს, ვინაიდან მხარეებს უწევთ ისეთი ინფორმაციის გამჟღავნება პოზიციების დასასაბუთებლად, რომელიც შესაძლებელია მათთვის არ იყოს სასურველი, შესაბამისად კლიენტის მხრიდან პრეტენზიის არგუმენტირებული დასაბუთება ადვოკატმა მიიჩნია პროვოცირებად, რასაც ეთიკის კომისია არ იზიარებს.

9.9 ეთიკის კომისია ადვოკატის გადაცდომის შეფასებისას არ იზიარებს ადვოკატის არგუმენტაციას, პასუხისმგებლობის მომჩივანისთვის და კოლეგიაზე გადატანის შესახებ. ადვოკატის ახსნა-განმარტება ამ ნაწილში არ არის თანმიმდევრული. ერთის მხრივ, ადვოკატი გ. ქ. აქცენტს აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ მომჩივანის მხრიდან მისი შეურაცხყოფა ატარებდა განგრძობად ხასიათს, რასაც თავიდან კომისია უმოქმედოდ შეხვდა და მხოლოდ განმეორების შემთხვევაში ჰქონდა ადვოკატს შესაბამისი რეაქცია, (იხ. 2.3, 2.6 აბზაცები) მეორეს მხრივ ადვოკატი აფასებს თავის ქმედებას, როგორც ,,სამწუხარო მყისიერ რეაქციას, ყოველგვარი წინასწარი დაფიქრებისა და განსჯის გარეშე," რაც გამორიცხავს დროის ინტერვალის არსებობას მომჩივანის მიმართვასა და მის საპასუხო ქმედებას შორის (იხ. 2.5 აბზაცი). ეთიკის კომისიის 2014 წლის 07 ივლისის განხილვის სხდომის ოქმით დასტურდება, რომ ეთიკის კომისიის მიერ უზრუნველყოფილი იყო სხდომის მიმდინარეობა დისციპლინური სამართალწარმოების წესების შესაბამისად და მომჩივანის და ადვოკატს შორის წარმოშობილი კონფლიქტი დროის მხრივ იყო თანმხვედრი, რასაც მოყვა ეთიკის კომისიის მხრიდან შესაბამისი რეაგირება.

9.10 ეთიკის კომისია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემასუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. კომისიამ გაითვალისწინა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე, ფაქტი, რომ ადვოკატი არაეთიკურად მოიქცა მის წინააღმდეგ არსებული საჩივრის განხილვისას ქვაზი სასამართლო ორგანოში, ასევე, ადვოკატს მიუხედავად კომისიისათვის გაცხადებული სინანულისა, თ. ჩ.-ს ბოდიში არ მოუხდია, კომისიამ მხედველობაში მიიღო ადვოკატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ის ზიანი, რაც მიადგა კლიენტს და ის ზიანი, რაც ადვოკატმა ამ ქმედებით მიაყენა პროფესიას, ადვოკატის ოჯახური მდგომარეობა, ფაქტი, რომ მას ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, მათგან ერთი ახალდაბადებული და მიიჩნია, რომ სახდელის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპის გათვალისწინებით ადვოკატ გ. ქ.-ს კლიენტის, პროფესიისა და ეთიკის კომისიისადმი მიყენებული შეურაცხყოფისათვის სახდელის სახით უნდა განესაზღვროს 1 (ერთი) წლის ვადით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. ადვოკატისათვის დადებული სახდელი მიმართულია ადვოკატის პროფესიული ღირსების ამაღლებისაკენ და წარმოადგენს საზოგადოებაში ამ პროფესიისადმი ღირსეული დამოკიდებულების დამკვიდრების გარანტს, რადგან პროფესიულ ავტორიტეტს ქმნის როგორც

ყველა ადვოკატის, ასევე ინდივიდუალურად რომელიმე ადვოკატის ეთიკური სტანდარტების დაცვით გაწეული მომსახურება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით, ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6, მე-7, მე-11, მე-16, მე-17, მე-19- მე-20, 21-ე, 36-ე, 37-ე, 39-ე, მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ გ. ქ.-ს მიმართ /სიითი №/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 (ერთი) წლის ვადით.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. ადვოკატ გ. ქ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე:	/ციცინო ცხვედიანი/
კომისიის წევრი:	/ნინო მიქიაშვილი/
კომისიის წევრი:	/ქეთევან უტიაშვილი/
კომისიის წევრი:	/პავლე აბაიაძე/
კომისიის წევრი:	/თეა ჭეიშვილი/
კომისიის წევრი:	/ნელი ვარდიაშვილი/
კომისიის წევრი:	/ინგა სეხნიაშვილი/
კომისიის წევრი:	/თორნიკე ბაქრაძე/
კომისიის წევრი:	/გოჩა სვანიძე/
კომისიის წევრი:	/ხათუნა გრიგალაშვილი/
კომისიის წევრი:	/ია გაბედავა/
კომისიის წევრი:	/სულხან ონიანი/